ა.დ) ქვეპროგრამა: ქალთა ფეხბურთისა და ფუტსალის განვითარება (პროგრამული კოდი 05 01 04). საწვრთნელი-სავარჯიშო შეკრებები, სპორტსმენთა კვალიფიკაციის ამაღლება, ეროვნულ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებზე ასპარეზობა.

ა.ე) ქვეპროგრამა: რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის ფუნქციონირების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 05). ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალურ შპს „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონს“, რომელიც შემდგომ განხორციელებს სტადიონის მოვლა-პატრონობის ღონისძიებებს. სუბსიდიის ხარჯები მოხმარდება შპს-ს თანამშრომელთა ხელფასების, სტადიონის კომუნალური ხარჯების ანაზღაურებას, ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას (ქონების გადასახადი) და სტადიონის ფუნქციონირებისათვის სხვა აუცილებელი ხარჯების დაფინანსებას.

ა.ვ) ქვეპროგრამა: სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 06). ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას, საერთაშორისო ხასიათის სპორტული ტურნირების ჩატარებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას. ასევე, მოხდება წარმატებული სპორტსმენების წახალისება, ვეტერანი და დამსახურებული სპორტსმენების საიუბილეო თარიღების აღნიშვნა.

ა.ზ) ქვეპროგრამა: სხვადასხვა სახეობის სპორტულ – გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა – რეაბილიტაცია – ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 05 01 07). ქალაქ ქუთაისში არსებული, ჯერ კიდევ, წლების წინ მოწყობილი სპორტული „ტრენაჟორები“ და ატრაქციონები, რომელთაც შემოღობვა, სათამაშო ზედაპირი და სხვა შემადგენელი ნაწილები დაზიანებული აქვს, საჭიროებს აუცილებელ რეაბილიტაციას, ადამიანებისათვის უსაფრთხო და დაცული გამაჯანსაღებელი გარემოს შესაქმნელად. აღნიშნული ქვეპროგრამის განვითარება ხელს შეუწყობს ქალაქ ქუთაისში, სკოლამდელი და დაწყებითი კლასების ბავშვებისათვის კომფორტული გასართობი და დასასვენებელი ადგილების შექმნას.

ბ) პროგრამა: კულტურის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 02). მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრებისათვის აუცილებელია წლის მანძილზე ჩატარდეს სხვადასხვა ხასიათის კულტურული ღონისძიებები, ფესტივალები და საერთაშორისო კულტურული აქტივობები. ასევე, მოხდეს ი.ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის, ფოლკლორის სახელმწიფო ანსამბლისა და კულტურის ღონისძიებების ხელშეწყობა.

ბ.ა) ქვეპროგრამა: კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01) პროგრამა გულისხმობს ქალაქ ქუთაისში, კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომავალი თაობის შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონის ამაღლებას, გაერთიანებაში შემავალი ფილიალების მუშაობის გააქტიურებას.



ბ.ბ) ქვეპროგრამა: ი.ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02). ქალაქ ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა და ფილიალები წარმოადგენს მიმზიდველ, საინტერესო და ხელმისაწვდომ ადგილს საზოგადოებრივი თავშეყრისათვის, სადაც მოსახლეობა იღებს განათლებას, ინფორმაციას და ხელს უწყობს განათლებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

ბ.გ) ქვეპროგრამა: ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03). არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის მერიის ფოლკლორის ცენტრი – სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“ წარმოადგენს დაწესებულებას, სადაც ხდება ხალხური შემოქმედების შენარჩუნება და განვითარება, ფოლკლორულ–ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის მოძიება და პოპულარიზაცია

ბ.დ) ქვეპროგრამა: კულტურის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 04). მუნიციპალიტეტის მასშტაბით წლის მანძილზე ხორციელდება სხვადასხვა ხასიათის კულტურული ღონისძიებები, ფესტივალები, საერთაშორისო კულტურული აქტივობები, კულტურული დღეები, გაცვლითი გასტროლები, გამოფენები, კონკურსები და ფორუმები, ასევე, სხვადასხვა ლიტერატურული ნაშრომების გამოცემა და ქუთაისში მცხოვრები ნიჭიერი შემოქმედების მხარდაჭერა.

გ) პროგრამა: ახალგაზრდობის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03). ახალგაზრდული მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ახალგაზრდების გააქტიურებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას, ახალგაზრდული ფესტივალის ორგანიზებითა და ინიციატივების მხარდაჭერის გზით. ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრირება.

5. პრიორიტეტი: ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00). მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ქალაქის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ, მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან. ასევე, მნიშვნელოვანია ქალაქში რეგისტრირებული უსახლკარო ოჯახებისათვის დროებითი საცხოვრისის შექმნა და ამ მხრივ სოციალური ფონის გაუმჯობესება.

ა) პროგრამა: ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01). მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, მძიმე დაავადების მქონე პირების მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარება, დაავადებული გადახდისუუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეების პროფილაქტიკური გამოკვლევა, მათში ყველაზე გავრცელებული დაავადებების დროულად გამოსავლენად, ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა.

ა.ა) ქვეპროგრამა: საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს შექმნა (პროგრამული კოდი 06 01 01). ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ ქუთაისის მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოდამხედველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით, ანტირაბიულ საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები ფაუნის შესწავლა და დადგენა, „C“ ჰეპატიტის სკრინინგის განხორციელება, „COVID–19“-ის გავრცელების მართვა და ეპიდემიოდამხედველობა, განსაკუთრებით საშიში დაავადებების მონიტორინგი და ზედამხედველობა. სამედიცინო სტატისტიკის წარმოება და ანგარიშგება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ–ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა.



ა.ბ) ქვეპროგრამა: მედიკამენტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 02). ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს მიეკუთვნებიან: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დაფიქსირებული 70001–მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირები; ნათესაურ და არანათესაურ მინდობაში მყოფი შშმ ბავშვები; ომისა და სამხედრო ძალების შშმ ვეტერანები; მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული მხედველობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; ოჯახური ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე მოქალაქეები და ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტები. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დადუპული, დადუპული მეომრების ოჯახის წევრები.

ა.გ) ქვეპროგრამა: სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 03). პროგრამის მიზანია სიცოცხლისათვის საშიში დაავადების მქონე და სხვადასხვა შემთხვევების შედეგად დაავადებული, გადახდისუუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება. დახმარებით ისარგებლებენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები, მრავალშვილიანი მშობლები და მათი ოჯახის წევრები, მარტოხელა მშობლები და მათი შვილები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დადუპული ოჯახის წევრები, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000–დან 120001–მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირები.

ა.დ) ქვეპროგრამა: ეპილექსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 04). ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ეპილექსიით დაავადებული პირები. ანტიკონვულსიური მედიკამენტების მისაღებად დახმარების გაწევა მოხდება ვაუჩერის მეშვეობით.

ა.ე) ქვეპროგრამა: ფენილკეტონურიითა და ცელიაკით დაავადებულ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 05). ქვეპროგრამით მოსარგებლე, ფენილკეტონურიითა და ცელიაკით დაავადებულ არასრულწლოვან პირებს, მატერიალური დახმარება გაეწევათ მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ხოლო სრულწლოვან პირებს პირადი განცხადების მომართვის საფუძველზე, საბიუჯეტო წლის ბოლომდე. დახმარების ოდენობა განისაზღვრება თვეში 300 ლარის ოდენობით. დახმარების მისაღებად განცხადებასთან ერთად საჭიროა ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, არასრულწლოვანის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ანგარიშის რეკვიზიტი ბანკიდან და ფორმა N100 სამედიცინო დაწესებულებიდან, ერთჯერადად პირველი განცხადების წარდგენისას.

ბ) პროგრამა: სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02). პროგრამის მიზანია ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომელიც მთლიანობაში უზრუნველყოფს ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ბ.ა) ქვეპროგრამა: სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 01). ქვეპროგრამით განხორციელდება ქალაქ ქუთაისში, ზ. ჭავჭავაძის ქუჩის N1 და N3–ში მდებარე სოციალური საცხოვრისის მობინადრეთა მიერ დახარჯული ელექტრო ენერჯისა (თითოეულ აბონენტს თვეში არაუმეტეს 60 ლარისა) და ცენტრალური გათბობისათვის საჭირო ბუნებრივი აირის თანხების ანაზღაურება წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით. ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩის N40–ში მდებარე სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარების მიერ დახარჯული ელექტრო ენერჯის თანხა ანაზღაურდება წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით.

ბ.ბ) ქვეპროგრამა: მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02). ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 4 (ოთხი) და მეტი შვილი და რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულით 0–დან 70 000–მდე, თითოეულ არასრულწლოვან შვილზე გაეწევათ ყოველთვიური მატერიალური დახმარება. 5 და მეტი შვილიანი ოჯახები წელიწადში ერთხელ



მიიღებენ შესაბამის მატერიალურ დახმარებას. ასევე, მე-4 და მეტი შვილის შეძენისას ბენეფიციარებს გაეწევათ ფინანსური დახმარება.

ბ.გ) ქვეპროგრამა: სარიტუალო დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 03). ქვეპროგრამა ემსახურება საქართველოს კანონებით: „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ გათვალისწინებული ვალდებულებების დელეგირებული უფლებამოსილების შესრულებას მატერიალური დახმარების სახით ლიმიტის ფარგლებში. ასევე, მოხდება „კოვიდ-19“ დიაგნოზით სამედიცინო დაწესებულებაში გარდაცვლილების მატერიალური დახმარების გაწევა ლიმიტის ფარგლებში.

ბ.დ) ქვეპროგრამა: სოციალური ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 04). ქვეპროგრამით განსაზღვრულია ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები, გარკვეული კატეგორიის ღვაწლმოსილი, დამსახურებული და სოციალურად დაუცველი პირებისათვის ტრადიციულ დღესასწაულებთან და ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებების მოწყობა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბენეფიციარების, ნათესაურ და არანათესაურ მინდობაში მყოფი შშმ პირების სამკურნალო – სარეაბილიტაციო მომსახურების გაწევა. „60+“ ხანდაზმულთა კლუბის თანადაფინანსება. ა(ა)იპ „World Vision International“ საქართველოს ფილიალის თანადაფინანსება. „წითელი ჯვრის“ ქუთაისის დღის ცენტრების თანადაფინანსება. ღონისძიებების ფარგლებში გვირგვინებისა და თაიგულების შექმნა.

ბ.ე) ქვეპროგრამა: სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 05). ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ქუთაისში მცხოვრები, სოციალურად დაუცველი, 0–70001–მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, მათ მიერ მოხმარებული ელექტრო ენერჯისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღირებულების ანაზღაურების თანადაფინანსება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან.

ბ.ვ) ქვეპროგრამა: განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომა (პროგრამული კოდი 06 02 06). ქვეპროგრამის მიზანია მზრუნველობამოკლებული ბავშვის სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის პირებისათვის, რომლებმაც მიაღწიეს სრულწლოვანების ასაკს და ვერ იქნენ რეინტეგრირებული ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებიდან, მინდობით, ასევე, სახელმწიფო მზრუნველობიდან რეინტეგრირებული ბავშვების ბიოლოგიური ოჯახების გაძლიერებისა და ხელშეწყობის მიზნით, მატერიალური დახმარების გაწევა; ჰემოდიალიზზე მყოფი პირების აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, ფინანსური დახმარების გაწევა.

ბ.ზ) ქვეპროგრამა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 07). ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები არიან სახელმწიფო პროგრამით „ბავშვთა ადრეული განვითარებისა“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები. ქვეპროგრამა ითვალისწინებს მათთვის უმთავრესი საჭიროების მქონე ჰიგიენური საშუალებებით, კერძოდ, ბავშვის ჰიგიენური საფენებითა და სველი საღვეთქებით დახმარებას.

ბ.თ) ქვეპროგრამა: უფასო კვება (პროგრამული კოდი 06 02 09). ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ ერთეულებში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფასო კვება დღეში ერთხელ სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართათვის საკვების მიწოდება ოჯახებში ყოველდღიურად.

ბ.ი) ქვეპროგრამა: კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 10). ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე, 0–18 წლამდე არასრულწლოვანი პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. მათ დახმარება გაეწევათ კოხლეარული იმპლანტის აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ნაწილების შეძენის თვალსაზრისით.

ბ.კ) ქვეპროგრამა: ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პირთა თანადგომა (პროგრამული კოდი 06 02



11). ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული 0–18 წლამდე ასაკის პირები. ქვეპროგრამით მოსარგებლე პირებს მატერიალური დახმარება გაეწევათ მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის განცხადებით მომართვის საფუძველზე, სამ თვეში ერთხელ, საბიუჯეტო წლის ბოლომდე. დახმარების ოდენობა განისაზღვრება თვეში 200 ლარის ოდენობით.

ბ.ლ) ქვეპროგრამა: შინმოვლა (პროგრამული კოდი 06 02 12). ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 100001–მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრები (შემდგომ – მოსარგებლე), რომელთათვისაც უძღურების შეფასების ბარათელის კითხვარის მიხედვით მინიჭებული ქულა (შემდგომ – ბარათელის ინდექსი) არ აღემატება 95 ერთეულს, არიან მწოლიარენი ან/და საჭიროებენ სამედიცინო მანიპულაციებს საცხოვრებელ ადგილზე. ვაუჩერული წესით მიიღებენ შესაბამის დაფინანსებას.

ბ.მ) ქვეპროგრამა: აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 02 14). ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში ბოლო 2 წლის განმავლობაში რეგისტრირებული და მცხოვრები 2 – 17 წლის ჩათვლით ბავშვების, რომელთა ძირითადი დიაგნოზია („ICD-10“) კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განვითარების ზოგადი აშლილობები („F84.0“; „F84.9“), სარეაბილიტაციო მომსახურებას. ქვეპროგრამაში პირველადი ჩართვის შემთხვევაში ბენეფიციარის დიაგნოზი განსაზღვრული უნდა იყოს „ADOS-2“ ტესტირების აუტიზმის სადიაგნოსტიკო კვლევის შედეგის საფუძველზე. მიმწოდებელი ქვეპროგრამაში ჩართვისას, ქვეპროგრამის განმახორციელებელთან წარმოადგენს სიას მასთან აღრიცხვაზე მყოფი იმ პირების შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებენ პროგრამის კრიტერიუმებს. მომლოდინეთა სიაში ბენეფიციარის ჩართვა ხდება, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალურ საკითხთა სამსახურში, მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის წერილობითი მომართვის საფუძველზე. ქვეპროგრამით განსაზღვრულ სერვისებს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების დონის შეფასება და ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შედგენა; ბავშვის მოტორული, შემეცნებითი, სოციალურ – ემოციური, სოციალური განვითარების, თვითმოვლისა და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. გაწეული მომსახურება ანაზღაურდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ მიმწოდებელ ორგანიზაციებზე ვაუჩერული მეთოდით სრულად, თითოეულ ბენეფიციარზე თვეში 420 ლარის ოდენობით, თანაგადახდის გარეშე, ქვეპროგრამით მოსარგებლის მხრიდან.

ბ.ნ) ქვეპროგრამა: შშმ პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/ თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 15). შშმ პირების შესაძლებლობების განვითარებისა და რეალიზებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ისეთი პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში მათ სრულყოფილ ინტეგრაციას. წარმოდგენილი პროექტები დაფინანსებისათვის/თანადაფინანსებისათვის შეირჩევა კონკურსის წესის შესაბამისად. შერჩევისას უპირატესობა მიენიჭება სოციალური მეწარმეობის განვითარებასა და შშმ პირების მიერ შემოსავლების გამომუშავებაზე ორიენტირებულ პროექტებს. ქვეპროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ პირებს. ასევე, ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე მოქმედ შშმ პირების საჭიროებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს.

ბ.ო) ქვეპროგრამა: შშმ ბენეფიციარებისა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 16). ქვეპროგრამის მიზანია სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ქალაქ ქუთაისში მოქმედი 18 წლამდე და 18 წელს ზემოთ ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებისა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით ცენტრების კომუნალური ხარჯების დაფინანსება/თანადაფინანსება, ასევე, 6–დან 18 წლამდე მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შშმ ბავშვთა დღის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

ბ.პ) ქვეპროგრამა: მარტოხელა მშობელთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 17). ქვეპროგრამით განსაზღვრულია ქალაქ ქუთაისში მცხოვრები და რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა ოჯახების მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადების – ელექტრო ენერჯის, წყლის, ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან.



ბ.ჟ) ქვეპროგრამა: ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 18). დახმარების მიმღები პირი/ოჯახი, თავშესაფარში შესვლამდე და თავშესაფრის დატოვების შემდეგ რეგისტრირებული უნდა იყოს ქალაქ ქუთაისში. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მყოფ პირს/ოჯახს, თავშესაფრის დატოვების შემდეგ დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით გაეწევა მატერიალური დახმარება ერთი წლის განმავლობაში ყოველთვიურად.

ბ.რ) ქვეპროგრამა: საქართველოს „SOS ბავშვთა სოფლის“ მიერ განხორციელებული პროექტის – „დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარების პროგრამა“ (პროგრამული კოდი 06 02 19). ქვეპროგრამის ფარგლებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ასოციაცია საქართველოს „SOS ბავშვთა სოფელს“ შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე მოხდება საქართველოს „SOS ბავშვთა სოფლის“ მიერ განხორციელებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება: „დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარება“, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდება/თანადაფინანსდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 12–დან 36 თვემდე ბავშვების დღის ცენტრში მომსახურება: კვება, ჰიგიენური საშუალებები.

ბ.ს) ქვეპროგრამა: ადრეული ძუძუს აგრესიული „HER-2“ რეცეპტორ დადებითი დიაგნოზის მქონე პირების მედიკამენტით დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 21). ქვეპროგრამით ისარგებლებენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ადრეული ძუძუს აგრესიული „HER-2“ რეცეპტორ დადებითი და მეტასტაზური კიბოს დიაგნოზის მქონე პირები, რომლებიც სარგებლობენ რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მედიკამენტებით: ჰერცეპტინი /ტრანსტუზუმაბი/, პერჯეტა /პერტუზუმაბი/ და ფესგო. ბენეფიციარმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რეფერალური კომისიის მიერ გაცემული საგარანტიო წერილის ასლი, ფორმა №100 და ანგარიშ–ფაქტურა ავთიაქიდან. დახმარების მიღება განხორციელდება არაერთჯერადი მომართვის საფუძველზე საგარანტიო წერილის გამოყენებით. თითოეულ შემთხვევა დაფინანსდება არაუმეტეს 300 ლარის ოდენობით.

ბ.ტ) ქვეპროგრამა: გადაუდებელი რეაგირება (პროგრამული კოდი 06 02 22). ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები, კრიზისულ მდგომარეობაში, სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების დახმარებას, რომლებიც გადაუდებლად საჭიროებენ სხვადასხვა სერვისის მიწოდებას ან/და მატერიალურ დახმარებას.

ბ.უ) ქვეპროგრამა: მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ტიფლოტექნიკური აპარატების შეძენა (პროგრამული კოდი 06 02 23). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ტიფლოტექნიკური აპარატების /ხმოვანი წნევის აპარატი; შაქრის საზომი აპარატი/ შეძენა და სხვა.

ბ.ფ) ქვეპროგრამა: გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის ფსიქიატრიული სერვისებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 25). ქვეპროგრამით ისარგებლებენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ ოჯახში და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლი ქალები და გოგონები, რომლებიც საჭიროებენ ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებში ჩართვას. ქვეპროგრამის მომსახურების მიმწოდებელს წარმოადგენს ა(ა)იპ „წამების მსხვერპლთა ფსიქო–სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი“ /GCRT, რომელიც პროექტის „ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ძალადობის მსხვერპლი ქალების ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებით უზრუნველყოფა“ ფარგლებში განახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და გოგონების ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისის მიწოდებას

ბ.ქ) ქვეპროგრამა: სოციალურად დაუცველი ახალშექმნილი ოჯახებისა და ახალშექმნილი შვილიანი ოჯახების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 06 02 26). ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში არანაკლებ ბოლო ერთი წლის მანძილზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი პირების მიერ ახალშექმნილი ოჯახებისა და ახალშექმნილი შვილიანი ოჯახების ფინანსურ მხარდაჭერას.

ბ.ღ) ქვეპროგრამა: მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 27). ქვეპროგრამა გულისხმობს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და



ფაქტობრივად მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების ეკონომიკურ გაძლიერებას, რომლებიც ეწევიან მიკრო, ან მცირე მეწარმეობას.

ბ.ე) ქვეპროგრამა: სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის განათლების ხარისხის ამაღლება (პროგრამული კოდი 06 02 30). ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოციალურად დაუცველი აბიტურიენტების დამატებითი სწავლება, 2023 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის. ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე სკოლადამამთავრებელი მოსწავლეები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120000–ს.

ბ.შ) ქვეპროგრამა: შშმ პირთა საერთაშორისო დღე (06 02 31). ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შშმ პირთა მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსება.

ბ.ჩ) ქვეპროგრამა: ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება (პროგრამული კოდი 06 02 33). ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური მხარდაჭერის ქვეპროგრამის მიზანია ბავშვთა კოდექსის მოთხოვნათა და ბავშვთა უფლებების მიმართულებით არსებული გამოწვევების საპასუხოდ, პროგრამის მონაწილე მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშეწყობა.

ბ.ც) ქვეპროგრამა: ბავშვის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 34). ბავშვის განვითარების ხელშეწყობი ქვეპროგრამის მიზანია ბავშვთა კოდექსის მოთხოვნათა და ბავშვთა უფლებების მიმართულებით არსებული გამოწვევების საპასუხოდ მოწყვლად ბავშვიან ოჯახებში მცხოვრები ბავშვების კოგნიტური და ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში ოჯახის მხარდაჭერა განხორციელდება ბავშვის ასაკის თავისებურებების გათვალისწინებით – ადრეული და შუა ასაკის ბავშვებისათვის ბავშვის განვითარების ხელშეწყობი საშუალებებით, ვაუჩერის გამოყენებით.

ბ.დ) ქვეპროგრამა: ონკოლოგიური პაციენტების ფსიქო–სოციალური მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 06 02 35). ქვეპროგრამის მიზანია ონკოლოგიურ პაციენტებში სტრესის შედეგად გამოწვეული მდგომარეობის მხარდაჭერა/მართვა. ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ონკოლოგიური პაციენტები. თანამედროვე ონკოლოგია მოიაზრებს მკურნალობის პროცესში პაციენტის მიმართ ჰოლისტურ მიდგომას, რათა მოხდეს მუდმივი სტრესის შედეგად ონკოპაციენტებში განვითარებული მძიმე ფსიქოლოგიური პრობლემების მართვა. ქვეპროგრამით გათვალისწინებულ მიმწოდებელს წარმოადგენს ა(ა)პ „საქართველოს ფსიქო–ონკოლოგიის საზოგადოება“.

გ) პროგრამა: გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 03) ქუთაისის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საბჭოს სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით (2023–2026) გათვალისწინებული აქტივობების შესრულებით განხორციელდება გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შექმნისა და აღსრულებას ხელშეწყობა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა, ქალების საჭიროებების, მოთხოვნებისა და ინტერესების გატარების გზით, საბჭოს ძლიერ, სანდო, გამჭვირვალე, თანასწორობის ეფექტურ, ინკლუზიურ და მდგრად ინსტიტუციად ჩამოყალიბებით. პროგრამის მიზანია ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება. მათ შორის, საბჭოს ეფექტური ინსტიტუციური საქმიანობის ხელშეწყობა, საბჭოს გაძლიერება და გააქტიურება გენდერული თანასწორობის, ცნობიერების ამაღლების, ეფექტური კომუნიკაციისა და მგრძობიანობის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით.

6. პრიორიტეტი: ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 07 00). ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის 2023 წელს განსახორციელებელი პროექტები მიზნად ისახავს სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების ხელშეწყობას, ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირებას და პოპულარიზაციას, უცხოური და ადგილობრივი ინვესტორების დაინტერესებას ქალაქის მიმართ; ქუთაისის, რეგიონის ტურისტულ ჰაბად ჩამოყალიბების ხელშეწყობას, გენერალური განვითარების გეგმის ცალკეული კომპონენტების მომზადებას, მუნიციპალური ქონების ეფექტური მართვის უზრუნველყოფას.

ა) პროგრამა: თვითმმართველობის ქონების შეფასება, რეგისტრაცია, დაცვა და ბალანსზე აყვანა



(პროგრამული კოდი 07 01). პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების ზუსტ აღრიცხვასა და ბალანსზე აყვანას; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (მათ შორის დაურეგისტრირებელი) მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე, საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების მომზადებას ელ.ვერსიით. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი ნახაზების მომზადებას. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხაზოვანი ნაგებობის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების მომზადებას ელ.ვერსიით. ადგილზე „GPS“ კოორდინატების გადამოწმებას. აგრეთვე, ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზებას, საექსპერტო კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის ან/და აქტის შესაბამისი სამუშაოების განხორციელებას. კერძოდ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ – მოძრავი ქონების (მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები და მოძრავი ქონება) აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრას, შესაბამისი ზონებისა და ქვეზონების მიხედვით, ასევე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული უძრავი ქონების, მათ შორის: რკინა-ბეტონის კონსტრუქციის, შენობა-ნაგებობების დემონტაჟის, წილებისა და აქციების, შპს-ების 100%-იანი წილის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრას. ამასთან, ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების (სკვერი, გაზონი, ტროტუარი, ხიდი, მოედანი, პარკი, ნაპირსამაგრი ნაგებობა, გარე განათების კონსტრუქცია, მიწისქვეშა გადასასვლელი, გვირაბი) სარგებლობის უფლებით გადაცემისათვის, წლიური ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრას. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის (1.0 კვ.მ.) საწყისი საფასურის განსაზღვრას.

ბ) პროგრამა: ქალაქის გენერალური გეგმის შედგენა (პროგრამული კოდი 07 02). პროგრამა ითვალისწინებს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო დავალების მომზადებას ქალაქის გენერალური გეგმის დამუშავების მიზნით. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა და განაშენიანების რეგულირების გეგმა მოიცავს დასახლების მთელ ტერიტორიას, ან მის ნაწილებს. გეგმების შესრულება სავალდებულოა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის. მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში წარმოდგენილია დასახლების სივრცით-ტერიტორიული განვითარების ზოგადი პრინციპები, რომლებიც საჭიროებისამებრ ზუსტდება განაშენიანების რეგულირების გეგმებში.

გ) პროგრამა: ეკონომიკის სტიმულირებისა და ბიზნესის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 07 03). პროგრამით განსაზღვრულია თემატური საერთაშორისო ფორუმის ორგანიზება, რომელიც წარმოაჩენს ერთის მხრივ, ქალაქ ქუთაისის საინვესტიციო და სამეწარმეო შესაძლებლობებს, მეორეს მხრივ, გაზრდის ქალაქის ცნობადობას საერთაშორისო პოზიციებზე, რაც ბიძგს მისცემს პოტენციურ უცხოურ კომპანიებსა და ადგილობრივ სამეწარმეო სუბიექტებს შორის ურთიერთთანამშრომლობას. დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნეს სეგმენტისთვის მასტიმულირებელ აქტივობას წარმოადგენს მათი საქმიანობისა და პროდუქციის წარმოჩენის ხელშეწყობა, რისთვისაც წლის განმავლობაში მოეწყობა ადგილობრივი წარმოებული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვები და სხვადასხვა სახის ფესტივალები. იმის გათვალისწინებით, რომ ქუთაისი მიერთებულია ევროკავშირის ინიციატივებს „მერების შეთანხმება“, „პარიზის შეთანხმება კლიმატის ცვლილებებზე“ და სხვა აღებულ ვალდებულებების ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სადემონსტრაციო ინტერვენციები მდგრადი განვითარების, ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვისა და ენერგოეფექტურობაზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებით.

დ) პროგრამა: ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 07 04). პროგრამის მიზანია მდგრადი განვითარების ტურიზმის პრინციპებზე დაყრდნობით, ქალაქ ქუთაისისა და იმერეთის რეგიონისათვის უნიკალური ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურების შემუშავება, რაც სარგებელს მოუტანს ადგილობრივ მოსახლეობას და ხელს შეუწყობს ქალაქ ქუთაისისა და იმერეთის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას. ტურისტული აქტივობებისა და მიმართულებების მხარდასაჭერად შესაბამისი ორგანიზაცია მოახდენს რეგიონის პოპულარიზებისკენ მიმართული აქტივობების კოორდინირებას კერძო, საჯარო სექტორებსა და თვით ამ ორგანიზაციის წევრებს შორის. ორგანიზაცია ხელს შეუწყობს ახალი ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურებების შექმნას, წაახალისებს კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობას. განახორციელებს აქტივობებს სტრატეგიის შემუშავებისა და ტურიზმის განვითარების კუთხით,



ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად და საქართველოს ეროვნული ტურიზმის განვითარების სტრატეგიისა და პრიორიტეტების მიხედვით. დაამყარებს კავშირებს რეგიონული განვითარების სფეროში მომუშავე ორგანიზაციებთან. ხელს შეუწყობს ადგილობრივი ფესტივალებისა და გამოფენების ორგანიზებას. მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ბაზრობებსა და გამოფენებში.

თ ა ვ ი III

ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 14. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებები

(ათას ლარში)

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის:	
					წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
20	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ხარჯები	79,717.3	113,660.6	131,146.8	30,527.3	100619.5
	მომუშავეთა რიცხოვნობა	340.0	257	257	0	257
2	ხარჯები	60,864.1	79,063.2	90,582.6	4,220.4	86,362.2
21	შრომის ანაზღაურება	26,961.5	33,470.8	39,823.0	0.0	39,823.0
22	საკონელი და მომსახურება	17,032.7	19,977.4	23,407.4	0.0	23,407.4
24	პროცენტი	1,520.0	2,755.7	2,750.1	0.0	2,750.1
25	სუბსიდიები	5,711.0	9,053.6	8,807.4	0.0	8,807.4
26	გრანტები	216.3	171.5	248.5	0.0	248.5
27	სოციალური უზრუნველყოფა	4,840.1	5,664.3	6,877.0	0.0	6,877.0
28	სხვა ხარჯები	4,582.5	7,969.9	8,669.2	4,220.4	4,448.8
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	18,329.3	34,024.1	36,695.9	26,306.9	10,389.0
33	ვალდებულებების კლება	523.9	573.3	3,868.3	0.0	3,868.3
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	12,079.9	14,986.1	20,893.2	0.0	20,893.2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	340.0	257.0	257.0	0.0	257.0
2	ხარჯები	10,804.0	13,794.9	16,154.4	0.0	16,154.4
21	შრომის ანაზღაურება	5,568.8	6,799.0	8,117.0	0.0	8,117.0
22	საკონელი და მომსახურება	3,033.6	3,716.0	4,308.6	0.0	4,308.6



24	პროცენტი	1,520.0	2,755.7	2,750.1	0.0	2,750.1
25	სუბსიდიები	244.2	116.8	192.5	0.0	192.5
26	გრანტები	38.5	1.5	26.5	0.0	26.5
27	სოციალური უზრუნველყოფა	242.1	285.3	256.1	0.0	256.1
28	სხვა ხარჯები	156.8	120.6	503.6	0.0	503.6
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	752.0	617.9	870.5	0.0	870.5
33	ვალდებულებების კლება	523.9	573.3	3,868.3	0.0	3,868.3
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	7,498.2	9,553.2	11,251.2	0.0	11,251.2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	340.0	257.0	257.0	0.0	257.0
2	ხარჯები	7,311.2	8,952.4	10,596.7	0.0	10,596.7
21	შრომის ანაზღაურება	5,250.6	6,137.4	7,277.0	0.0	7,277.0
22	საქონელი და მომსახურება	1,802.5	2,438.4	2,744.9	0.0	2,744.9
25	სუბსიდია		0.7	9.0		9.0
26	გრანტები	1.9	1.5	26.5	0.0	26.5
27	სოციალური უზრუნველყოფა	239.1	278.4	246.1	0.0	246.1
28	სხვა ხარჯები	17.1	96.0	293.2	0.0	293.2
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	187.0	600.8	654.5	0.0	654.5
01 01 01	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,210.7	1,751.6	2,078.0	0.0	2,078.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	34.0	34.0	34.0		34.0
2	ხარჯები	1,210.7	1,750.6	2,051.5	0.0	2,051.5
21	შრომის ანაზღაურება	894.9	1,196.0	1,341.0		1,341.0
22	საქონელი და მომსახურება	258.7	500.5	616.5	0.0	616.5
221	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	70.1	177.4	251.0		251.0
222	მივლინება	0.1	9.9	25.0		25.0
223	ოფისის ხარჯი	24.3	9.8	25.0		25.0
224	წარმომადგენლობითი ხარჯი	8.6	26.7	33.5		33.5
227	რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები		0.1	0.0		
228	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	150.6	272.9	276.0		276.0
2210	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	5.0	3.7	6.0		6.0



27	სოციალური უზრუნველყოფა	57.1	43.6	55.0		55.0
28	სხვა ხარჯები		10.5	39.0		39.0
31	არაფინანსური აქტივების ზრდა		1.0	26.5		26.5
33	ვალდებულებების კლება			0.0		
01 01 02	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია	5,999.4	7,468.6	8,778.6	0.0	8,778.6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	291.0	211.0	211.0		211.0
2	ხარჯები	5,812.4	6,868.8	8,150.6	0.0	8,150.6
21	შრომის ანაზღაურება	4,130.6	4,718.7	5,686.0		5,686.0
22	საქონელი და მომსახურება	1,484.1	1,846.4	2,004.0	0.0	2,004.0
221	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	289.7	331.8	360.0		360.0
222	მივლინება	6.1	20.0	38.5		38.5
223	ოფისის ხარჯი	538.2	620.6	738.5		738.5
224	წარმომადგენლობითი ხარჯი	59.2	136.8	204.4		204.4
226	სამედიცინო ხარჯი	1.9	0.9	0.0		
227	რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები	4.6	17.9	10.0		10.0
228	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	299.9	371.6	322.0		322.0
2210	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	284.5	346.8	330.6		330.6
25	სუბსიდია		0.7	9.0		9.0
26	გრანტები	1.9	1.5	26.5		26.5
27	სოციალური უზრუნველყოფა	178.7	218.8	179.1		179.1
28	სხვა ხარჯები	17.1	82.7	246.0		246.0
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	187.0	599.8	628.0		628.0
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	268.8	279.2	317.0	0.0	317.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	15.0	12.0	12.0		12.0
2	ხარჯები	268.8	279.2	317.0	0.0	317.0
21	შრომის ანაზღაურება	225.1	222.7	250.0		250.0
22	საქონელი და მომსახურება	40.4	37.7	46.8	0.0	46.8



221	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება			0.0		
222	მივლინება	0.9	1.0	3.0		3.0
223	ოფისის ხარჯი	11.9	16.5	12.0		12.0
228	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	27.6	20.2	31.8		31.8
2210	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება			0.0		
27	სოციალური უზრუნველყოფა	3.3	16.0	12.0		12.0
28	სხვა ხარჯები		2.8	8.2		8.2
31	არაფინანსური აქტივების ზრდა			0.0		
01 01 04	საჯარო მოსამსახურეთა სწავლება – გადამზადება	19.3	53.8	77.6	0.0	77.6
2	ხარჯები	19.3	53.8	77.6	0.0	77.6
22	საქონელი და მომსახურება	19.3	53.8	77.6		77.6
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	4,581.7	5,432.9	9,642.0	0.0	9,642.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა			0.0		
2	ხარჯები	3,492.8	4,842.5	5,557.7	0.0	5,557.7
21	შრომის ანაზღაურება	318.2	661.6	840.0	0.0	840.0
22	საქონელი და მომსახურება	1,231.1	1,277.6	1,563.7	0.0	1,563.7
24	პროცენტი	1,520.0	2,755.7	2,750.1	0.0	2,750.1
25	სუბსიდიები	244.2	116.1	183.5	0.0	183.5
26	გრანტები	36.6				
27	სოციალური უზრუნველყოფა	3.0	6.9	10.0	0.0	10.0
28	სხვა ხარჯები	139.7	24.6	210.4	0.0	210.4
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	565.0	17.1	216.0	0.0	216.0
33	ვალდებულებების კლება	523.9	573.3	3,868.3	0.0	3,868.3
01 02 01	სარეზერვო ფონდი	847.1	945.9	1,000.0	0.0	1,000.0
2	ხარჯები	847.1	945.9	1,000.0	0.0	1,000.0
22	საქონელი და მომსახურება	847.1	945.9	1,000.0		1,000.0
27	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0		0.0
28	სხვა ხარჯები		0.0	0.0		0.0
31	არაფინანსური აქტივების ზრდა					



01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	122.4	16.1	204.8	0.0	204.8
2	ხარჯები	122.4	16.1	204.8	0.0	204.8
28	სხვა ხარჯები	122.4	16.1	204.8		204.8
33	ვალდებულებების კლება			0.0		
01 02 03	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (მ.გ.ფ.)	2,043.9	3,329.0	6,618.4	0.0	6,618.4
2	ხარჯები	1,520.0	2,755.7	2,750.1	0.0	2,750.1
24	პროცენტი	1,520.0	2,755.7	2,750.1		2,750.1
28	სხვა ხარჯები			0.0		
33	ვალდებულებების კლება	523.9	573.3	3,868.3		3,868.3
01 02 04	საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა	97.7	139.7	165.0	0.0	165.0
2	ხარჯები	97.7	139.7	165.0	0.0	165.0
22	საქონელი და მომსახურება	97.7	139.7	165.0		165.0
01 02 05	ნარჩენებისაგან თავისუფალი მდინარეები – სუფთა შავი ზღვისათვის	630.8	0.0	0.0	0.0	0.0
2	ხარჯები	71.4	0.0	0.0	0.0	0.0
22	საქონელი და მომსახურება	71.4		0.0		
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	559.4		0.0		
01 02 06	ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტო“	400.8	308.4	0.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0	0.0		0.0
2	ხარჯები	398.1	300.4	0.0	0.0	0.0
21	შრომის ანაზღაურება	318.2	229.0	0.0		
22	საქონელი და მომსახურება	74.1	65.4	0.0		
27	სოციალური უზრუნველყოფა	3.0	3.3	0.0		
28	სხვა ხარჯები	2.8	2.7	0.0		
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.7	8.0	0.0		
01 02 07	საგრანტე პროგრამა „escapeland“ ტურიზმის განვითარება და პოპულარიზაცია შავი ზღვის აუზის ქვეყნებში	129.7	51.5	95.0	0.0	95.0
2	ხარჯები	126.8	51.5	88.1	0.0	88.1
22	საქონელი და მომსახურება	126.8	51.5	88.1		88.1



31	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.9		6.9		6.9
01 02 08	ქვეყანაში გავრცელებული პანდემიის მართვის ხელშეწყობა	257.3	92.8	0.0	0.0	0.0
2	ხარჯები	257.3	92.8	0.0	0.0	0.0
22	საქონელი და მომსახურება	3.2	3.7	0.0		
25	სუბსიდიები	203.0	88.7	0.0		
26	გრანტები	36.6				
28	სხვა ხარჯები	14.5	0.4			
01 02 09	საგრანტე პროგრამა „EU4CULTURE“	52.0	68.3	0.0	0.0	0.0
2	ხარჯები	52.0	68.3	0.0	0.0	0.0
22	საქონელი და მომსახურება	10.8	35.5	0.0		
25	სუბსიდიები	41.2	27.4	0.0		
28	სხვა ხარჯები		5.4			
31	არაფინანსური აქტივების ზრდა			0.0		
01 02 10	ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალური ინსპექცია“	0.0	481.2	995.0	0.0	995.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0	0.0		0.0
2	ხარჯები	0.0	472.1	952.5	0.0	952.5
